ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3746443

ნომერი: AR1561316

თარიღი : 30.11.2017

გაცემის თარიღი : 21.12.2017

გაცნობის თარიღი : 21.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტრიკოტაჟი , N 3 , (ნაკვეთი N1/92) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3647892 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 30 ნოემბერს №AR1561316 განცხადებით მომართეს გიორგი ჭუმბურიძემ და გიორგი კორძაძემ. განმცხადებლებმა

მოითხოვეს ამავე სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3647892 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშრებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3647892 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3-ში (ნაკვეთი N1/92), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.12.12.001.092) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და სამსახურის 2017 წლის 10 ნოემბრის №3670237 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 10 ნოემბრიდან 2019 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებლები ითხოვენ, სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3647892 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით კერძოდ: საზაფხულო ფართობად 1282.2 კვ.მ-ს ნაცვლად 1273.1 კვ.მ-ს, საერთო ფართობად 11837.4 კვ.მ-ს ნაცვლად 11828.3 კვ.მ-ს დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3647892 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3647892 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 1273.1 კვ.მ, საერთო ფართობად 11828.3 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3647892 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 31 ოქტომბრის №3647892 ბრძანებასთან ერთად. 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.